



## საგრანტო კონკურსი ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის

### „ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერების ინიციატივა საქართველოში“

საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი (GCS D) არის არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზნებია: ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ხელშეწყობა; ეფექტიანი და დემოკრატიული მართვა და მდგრადი განვითარება. GCS D-ის საქმიანობა მოიცავს კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და საგანმანათლებლო პროექტების გახორციელებას.

2018 წლის აგვისტოდან 2019 წლის ივნისამდე ორგანიზაცია Project Harmony Inc.-ის მხარდაჭერითა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გლობალური ჩართულობის ცენტრის (GEC) დაფინანსებით ახორციელებს პროექტს - „ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერების ინიციატივა საქართველოში“. პროექტის ფარგლებში GCS D-ის მიზანია წვლილი შეიტანოს საქართველოს რეგიონებში (აჭარა, გურია, ქვემო ქართლი და კახეთი) მცხოვრები საზოგადოების მედეგობის (resilience) გაზრდაში, ასევე სოციალური დიალოგის, კრიტიკული აზროვნებისა და ადგილობრივი ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობაში. აგრეთვე, პროექტის ერთ-ერთი ამოცანაა საქართველოში რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის (ყველა ფორმის) რისკების შემცირება.

## 1. საკონტაქტო პირები და ზოგადი ინფორმაცია

მოცემული დოკუმენტი შედგენილია ადგილობრივი არაკომერციული/არასამეწარმეო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც დარეგისტრირებული არიან და მუშაობენ **აჭარის, გურიის ქვემო ქართლის და კახეთის (ახმეტის მუნიციპალიტეტი)** რეგიონებში. საგრანტო კონკურსის შედეგად შერჩეული თითოეული ორგანიზაცია მიიღებს გრანტს მაქსიმუმ \$4,000-ის ოდენობით. ორგანიზაციები შეირჩევა პროექტის საბჭოს მიერ საგრანტო განაცხადსა და თანამშრომლების კვალიფიკაციაზე დაყრდნობით.

2018 წლის 20 ოქტომბრამდე საგრანტო კონკურსის შესახებ არსებული კითხვებით მიმართეთ პროექტის კოორდინატორს, თამარ ნადიბაიძეს [nadibaidze@gcsd.org.ge](mailto:nadibaidze@gcsd.org.ge)

## 2. საგრანტო კონკურსის მთავარი ამოცანები

- ადგილობრივი საზოგადოების მედეგობის (resilience) გაზრდა კრიტიკული აზროვნებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის წახალისებით;
- ეთნიკურ, რელიგიურ ჯგუფებსა და თემებს შორის დიალოგის წახალისება და ნდობის გაზრდა;



GCS D არ დააფინანსებს პროექტებს, რომელიც ორიენტირებულია:

- კვლევის ჩატარებაზე
- პოლიტიკური პარტიის ლობირებასა თუ მხარდაჭერაზე
- საერთაშორისო ვიზიტებზე
- კომერციულ აქტივობებზე

### 3. ვადები და ხანგრძლივობა

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2018 წლის 30 ოქტომბერი (ორგანიზაციამ მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა გამოაგზავნონ შემდეგ ელ-მისამართზე: [gcsd@gcsd.org.ge](mailto:gcsd@gcsd.org.ge))

პროექტი დაიწყება ნოემბერში. პროექტის აქტივობები უნდა გაგრძელდეს 4-დან 6 თვის განმავლობაში.

### 4. ანგარიშგება

აქტივობების დასრულების შემდეგ, მაქსიმუმ 2 კვირის ვადაში, საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროგრამული და ფინანსური ანგარიში ყველა თანდართული დოკუმენტით უნდა გადაეცეს პროექტის გუნდს განსახილველად და დასამტკიცებლად.

### 5. წარმოსადგენი დოკუმენტები

- პროექტის მოკლე კონცეფცია (მაქს. 1500 სიტყვა) აქტივობებით ქართულ ან ინგლისურ ენაზე. განაცხადის ფორმა უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს (ორგანიზაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია, პრობლემის აღწერა, მიზანი/ამოცანები, აქტივობები, დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა)
- დეტალური ბიუჯეტი დროში გაწერილი განრიგით (ხარჯების მიზნობრიობის მოკლე აღწერით)
- ორგანიზაციის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/ამონაწერი არასამეწარმეო პირთა რეესტრიდან (ორგანიზაცია უნდა იყოს სულ მცირე ერთი წლის დარეგისტრირებული)
- პროექტის გუნდის წევრების რეზიუმე (CV), საკონტაქტო ინფორმაცია

### 6. მოთხოვნები

- პროექტის განხორციელებისას დაიცვას გენდერული თანასწორობა;
- ადგილობრივმა ორგანიზაციამ უნდა იმუშაოს პროექტის გუნდთან მჭიდრო კომუნიკაციით;
- სასურველია რომ განმცხადებელს ჰქონდეს ისეთი პროექტების განხორციელების გამოცდილება როგორცაა ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობა, სოციალური დიალოგის წარმართვა, ნდობის გაზრდა განსხვავებულ თემებს შორის

### პროექტის ხელმძღვანელი პირის კვალიფიკაცია და უნარები

- მინიმუმ 2 წლიანი რელევანტური სამუშაო გამოცდილება
- ადგილობრივ დონეზე, ასევე დონორებთან მუშაობის გამოცდილება
- ქართული და ინგლისური ენების ცოდნა (წერიითი და სალაპარაკო უნარები)
- კარგი კომუნიკაციის უნარი
- კრეატიულობა და კრიტიკული აზროვნება

### **7. შეფასების კრიტერიუმები**

საგრანტო განაცხადების შეფასება მოხდება პროექტის საბჭოს მიერ. შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია:

- პროექტის კონცეფციის შესაბამისობა საგრანტო კონკურსის მიზნებთან/ამოცანებთან;
- ორგანიზაციის გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით;
- პროექტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და უნარები.

### **8. შესრულების ინდიკატორები**

ადგილობრივი ორგანიზაციის მხრიდან პროექტის შესრულების ინდიკატორებია: წარმოდგენილი კონცეფციის მაღალ დონეზე დაგეგმვა და შესრულება, შედეგების დროული წარმოდგენა, პროექტის გუნდისთვის წარდგენილი დოკუმენტაციისა და ანგარიშების ხარისხი.